

საქართველო

რესპუბლიკა



საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გ.ა. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთის
ლირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი.

სახელმწიფო თეატრი

პარასკევის იანვრის 30, მ. ს. დავიდოვას მონაწილეობით
ჩ ე რ ე ვ ი რ კ ი
მონაწილეობენ: დავიდოვა, რისი, ხალიპაძე, დროზდო-პოლიავეცი, საბინინი, ეზროვი, კურბა-

საქ. სატრანსპორტო საზოგადოება

ამით აცხადებს რომ ამა წლის 1 თებერვლიდან იგი მიიღებს ყოველგვარ ტვირთს ქალაქ
ტფილისში და ქალაქ გარე გადასახად გადმოსახიდავად. დაწვრილებითი ცნობების მიღება
შეიძლება საზოგადოების კანცელარიაში დღის 9 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე. (სე-
რეივის ქ. № 8).

ოფიციალური განცხადება

ვანკარგულეგანი

საქართველოს დემოკრატიული რესპუ-
ბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა.
28 იანვარი, 1920 წ., № 5.
მთავარ საბაჟოს გამგე შესარიონ მიხეილის
ძე მიქაძე დაინიშნოს ფინანსთა და ვაჭრობა-
საწვევლოების მინისტრის საბჭოს მუდმივ წევ-
რად ამა წლის 1 თებერვლიდან.

დროებითი აღსრულება აღმინისტრაციის ინ-
სპექტორის ქ. ქუთაისში გამგზავრების გამო.
განთავისუფლებულია: შინაგან საქმეთა სა-
მინისტროს აღმინისტრაციული ნაწილის განსა-
კუთრებულ მონღობლობათა მოხელე ალექ-
სანდრე დარისპანის ძე შენგელია იმევე ნაწი-
ლის ინსპექტორის თანამდებობის აღმასრუ-
ლებლად.
28 იანვარი, 1920 წ., № 7.
ინიშნება: გორის მაზრის ერობის გამგეობის
წევრი ივანე ერლიშანის ძე ქარცივაძე აღმი-
ნისტრაციის ინსპექტორის თანაშემწედ, ამა
წლის 20 იანვრიდან.

27 იანვარი, 1920 წ., № 8.
დათხვენილია: შინაგან საქმეთა სამინისტ-
როს კანცელირიის საქმის მწარმოებლის თა-
ნაშემწე კონსტანტინე მურზაყანის ძე საბახ-
ტარიშვილი თანამდებობიდან და სრულიად
სამსახურიდან, სახალხო გვარდიის სამსახურში
გადასვლის გამო, 1-ლ ამა იანვრიდან.

28 იანვარი, 1920 წ., № 9.
გამორიცხულია: შინაგან საქმეთა სამინისტ-
როს მოსამსახურეთა სიდან ამავე სამინისტ-
როს კანცელირიის საქმის მწარმოებელი ალექ-
სანდრე ნანიშვილი დამფუძნებელ კრების კან-
ცელირიის გამგის ამხანაგათ დანიშვნის გამო
16 წარსულ დეკემბრიდან.

საქართველოს სენატის სამოქალაქო სა-
კანცელირო დეპარტამენტის სადამინისტრა-
ციო განყოფილებისა.
25 დეკემბერი, 1919 წ., № 3.
დამტკიცებულია ილარიონ აბალონის ძე
სურგულაძე ონის მომრიგებელ მოსამართლის
თანამდებობაზე დღიდან მისი არჩევისა—1919
წლის 17 აპრილიდან.

25 დეკემბერი, 1919 წ., № 4.
დამტკიცებული არიან: იოსებ ივანეს ძე ბო-
ძაშვილი და ივანე ესტატეს ძე საგვარდიძე
თიანეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლე-
თა თანამდებობაზე დღიდან მათი არჩევისა—
1919 წლის 11 ოქტომბრიდან.

25 დეკემბერი, 1919 წ., № 5.
დამტკიცებული არიან: დავით ჩხეიძე და
ვლადიმერ პაპავა თიანეთის მაზრის საპატოო
მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობაზე
დღიდან მათი არჩევისა—1919 წლის 11 ოქ-
ტომბრიდან.

თავმჯდომარის მაგ. ვ. გველესიანი.
გზათა დეპარტამენტის დირექტორისა.
29 დეკემბერი, 1919 წ., № 120.
სახაზინო რკინის გზათა უფროსს ქ
სად. ნავთლულში მაზრის და ნავთის ცის-

ტერნების შეგუგუების თავიდან ასაცილებ-
ლათ ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის
თაოსნობით შემდგარმა თათბირმა შეიმუშავა
შემდეგი წესები, რომლებიც სავალდებულოა
რკინის გზებისათვის, და ამიტომ დაუყოვნებ-
ლივ უნდა შეუდგეთ მის გატარებას ცხებ-
რებაში:

ა) სატრანზიტო ნავთი და მისი ყოველგვარ
ნაწარმოები პირდაპირ უნდა მიდიოდეს
სად. სალოლოლიდან დანიშნულებისამებრ დაუ-
ბრკოლებრივსატრანზიტოთა თუ არა ასეთი სა-
ქონელი, ამის პაჟისმგებლობა დავალოს
საბაჟოს.

ბ) ნავთლულში საბაჟო უწყების ფუნქციებში
ნავთის და მისი ნაწარმოების დაჭედვა დაბე-
ვისა დავალოს საქონლო უწყებას.

გ) რკინის გზამ უნდა იყოლოს ნავთლულ-
ში მუდმივ პასუხისმგებელი აგენტო, რომე-
ლიც სათანადო ხელწერილს მისცემს სააქცი-
ო უწყების წარმომადგენელს, რომ ბაჟი და
აქციზი თავის დროზე იქნება გადახდილი.

დ) რკინის გზის მოსამართლეთა და მისი საჭი-
როებისათვის მიღებულ მაზრის სატვირთო
საბუთებში თუ აღნიშნული იქნება, რომ ამა
და ამ ცისტერნაში მაზრისა, ამ შემთხვევაში
აქციზის მოხელე უნდა დაკმაყოფილდეს საბუ-
თების გასინჯვით და ცისტერნების გაუსხნე-
ლად ასეთი მაზრის გაუსვას ნავთლულიდან
ტფილისისაკენ.

ზემოაღნიშნულ ოთხ პუნქტის გარდა, ყოველ
ისეთ შემთხვევაში, როცა აქციზის დაუხედა-
ვად იქნება მიღებული მაზრის და ამასთანავე
გამორკვევა, რომ სატვირთო საბუთების შე-
ცდომით შედგენისა გამო შეიგ აღმოჩნდება,
გარდა მაზრისა, სხვა ნაწარმოებიც, პასუხის
მგებლობა სააქციო გადასახადისა ედება
რკინის გზას.

ამ ბრძანების მიხედვით სათანადო განკარ-
გულების მოსახდენათ მიიღეთ შესაფერი ზო-
მები და შედეგი განკარგულებისა აცნობეთ
გზათა დეპარტამენტს.

გზათა დეპარტამენტის
დირექტორი კვიციანიძე.

ოფიციალური განცხადება

მთავრობაში

17 იანვრის სხდომა.
დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარე—ნოე
ჟორდანიას; მინისტრები—ბენი გეგეჭკორი,
ლორთქიფანიძე, კანდელაკი, ხომერიკი, არ-
სენიძე, ერადე; სახელმწიფო კონტროლიორის
ამხანაგი—ბ. ნი ანდრონიკაშვილი; მინისტრთა
ამხანაგები—ბ. ნი კვიციანიძე, გედევანიშვილი,
ბახტაძე, ჭავჭავაძე, ავალიანი; გზათა დეპარ-
ტამენტის დირექტორი—ბ. ნი კვიციანიძე; იუს-
ტიციის დეპარტამენტის თანამდ. აღმასრ.—
ბ. ნი ჟორდანიას; საქმეთა მმართველი—ქ. ჯა-
ფარიძე; მდივანი—დ. დიდუბულიძე.

სომხეთის დელეგაციასთან მოლაპარაკებისთვის.

სომხეთის დელეგაციასთან მოსალაპარაკებ-
ლათ მთავრობის წარმომადგენლებათ დაინიშ-
ნონ საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭ-
კორი და სამხედრო მინისტრი გ. ს. ლორთ-
ქიფანიძე.
სატყეო განყოფილების ხარჯთ-აღრიც-
ხვის მუხლების შეცვლა.

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება
სატყეო განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვის
მე-14 წ-ის 1 მუხლით და მე-22 წ-ის 4 მუ-
ხლით ნავარაუდევ კრედიტების გადიდების
შესახებ მიღებულ იქნას. წარედგინოს დამ-
ფუძნებელ კრებას შესაფერი დეკრეტი.

მატარებლების დაცვისთვის

რკინის გზებზე მოხსნილ იქნას სამხედრო
წესები და გაუქმდეს საგენ.-გუბერნატორო.
ორი სწრაფი და ერთი საფოსტო მატა-
რებლების მცველთა შტატი დარჩეს და დე-
ვლოს გზათა უწყებას წარუდგინოს მთავრო-
ბას შესაფერისი ხარჯთ აღრიცხვა.

შ ს ა ს ი.

უ ბ ნ ი ს გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ლ ე ბ ი ს ა.

Table with 8 columns: თანამდებობათა სახელწოდება და საგანი ხარ-ჯისა, ეძლევათ თი თის თვეში დამატებო-თურთ, 40 % და-მატება, რიცხვი, თ ვ ე შ ი. (ერთს, ყველას), წელიწადში. (ერთს, ყველას).

ბინის დასაქირავებელი კრედიტი უბნის გამომძიებლისა სათანადო ოქლის სასამართლოს განკარგულებაშია და
ამ უკანასკნელს ევალება ბინების დაქირავების პირობების დამტკიცება და ბინების პატრონების დაკმაყოფილება
ჭირის ფულით.

1919 წ. დეკემბრის 9-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. შიგვიანი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

5. ჟორდანიას.





